ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723219001
თარიღი:07/08/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N- 12

მიმდინარე წლის 27 ივლისს 12 საათზე ჩატარდა ლენტრხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 17 (ჩვიდმეტი) წევრი. სხდომას ესწრებოდა მერიის საფინანსო სამსხურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გულივერ გაზდელიანი, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გერმან ქურასბედიანი, იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსმა მედიკო ხვისტანი, კულტურის სამსახურის განყოფილებების ხელმძღვანელები ქეთინო ფიცხელაური და ნინო ონიანი, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის(აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს. მერიის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გულივერ გაზდელიანი/

2. **საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ანალიზი.**

   /მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით პირველი/

   3. N-1 საჯარო სკოლისთვის ლევან ლიპარტელიანის სახელის მინიჭების თაობაზე.

   /მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით პირველი/

4. **სოფ. მელეში მცხოვრებ მთვარისა ჯანხოთელისთვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე.**

   /მომხ: საკრებულოს სოციალური კომისიის თავ-რე: ზურაბ ონიანი/

5. **სოფ. ლესემაში ხიდისთვის ალექსანდრე გაზდელიანის სახელის მინიჭების შესახებ.**

   /მომხს: საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავ-რე სოსო ავალიანი/

6. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2023 წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს.მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი/

7.გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე.

/მომხს. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

8. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: მერიის საფინანსო სამსხურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა გულივერ გაზდელიანმა განმარტება გააკეთა პირველ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციამ ,,Gizi"-მ გამოგვიყო თანხა ბაზრის მოწყობისთვის. თანხა შეადგენს 75400ლარს. ეს თანხა უნდა აისახოს ბიუჯეტში.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.ღია კენჭისყრის შედეგით

მომხრე - 17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში.

2. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა წარმოადგინა საკითხი -საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ანალიზი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების შესაბამისობის აუდიტი. მუნიციპალიტეტის მერიაზე და საკრებულოზე გაიცა 14 (თოთხმეტი) რეკომენდაცია. რეკომენდაციების შესაბამისად გატარდა ღონისძიებები.(შესაბამისი მასალა თან ერთვის).

რეკომენდაციების შესაბამისად მერიის მიერ გატარებული ღონისძიებების და შემუშავებული სამოქმედო გეგმის თაობაზე ვრცლად ილაპარაკა მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა გერმან ქურასბედიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს და საფინანსო კომისიის თავმჯდომარეს ექნებათ ვალდებულება თვალყური ადევნონ რეკომენდაციების შესრულების პროცესს და პერიოდულად გამოიტანონ სხდომებზე ინფორმაციები.

სხდომის წევრებმა ცნობად მიიღეს საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია.

3.მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა წარმოადგინა საკითხი

N-1 საჯარო სკოლისთვის ლევან ლიპარტელიანის სახელის მინიჭების თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი მომზადებულია, ყველა საჭირო დოკუმენტი თან ერთვის.

ღია კენჭისყრით: მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: N-1 საჯარო სკოლას მიენიჭოს ლევან ლიპარტელიანის სახელი.

4.მოისმინეს; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა წარმოადგინა საკითხი - სოფ. ლესემაში ხიდისთვის ალექსანდრე გაზდელიანის სახელის მინიჭების შესახებ.მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი მომზადებულია, ყველა საჭირო დოკუმენტი თან ერთვის.

ღია კენჭისყრით: მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: საკრებულოს - სოფ. ლესემაში სასოფლო ხიდს მიენიჭოს ალექსანდრე გაზდელიანის სახელი.

5. მოისმინეს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა წარმოადგინა საკითხი - სოფ. მელეში მცხოვრებ მთვარისა ჯანხოთელისთვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთვარისა ჯანხოთელი და მისი მეუღლე ლევან ავალიანია არიან გარდაბნის რაიონის მაცხოვრებლები.ექვსი თვეა ცხოვრობენ სოფ. მელეში. ლევან ავალიანს აქვს ონკოლოგიური დაავადება. არის ინვალიდის ეტლში. ოჯახს ძალიან უჭირს. განცხადებით მოგვმართა ბენეფიციარის მეუღლემ. კომისიამ განიხილა განცხადება და მიიღო გადაწყვეტილება - ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს გამონაკლისის სახით გაუწიოს დახმარება 300 ლარით აღნიშნულ ოჯახს.

სხდომის წევრებმა ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს გამონაკლისის სახით გაუწიოს ფინანსური დახმარება აღნიშნულ ოჯახს.

6.მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსმა მედიკო ხვისტანმა წარმოადგინა ანგარიში 2023 წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელს შენიშვნა მისცა სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს დამტკიცებული გეგმა -გრაფიკის მიხედვით და თანხებიც უნდა დაიხარჯოს შესაბამისად. კერძო პირების იდეების საფუძველზე არ უნდა ხდებოდეს დაგეგმილი ღონისძიებების შეცვლა.

აზრი გამოთქვა; ფრაქცია ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ იაკობ გაზდელიანმა - წინა სხდომაზე მიღებული იქნა განკარგულება 2023 წელს ლენტეხის სახელოვანი სპორცმენებისთვის ერთჯერადი ფინანსური წახალისების თაობაზე, მაგრამ სამწუხაროდ დღესაც არ არის გაცემული ეს თანხები.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი და ამის გამო ვერ მოხერხდა ამ თანხების გაცემა.

აზრი გამოთქვა; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ კულტურის სამსახური მიზერული თანხების ფარგლებში ატარებს კარგ ღონისძიებებს. რაც დასაფასებელია. მაგრამ აუცილებელი ფინანსური დოკუმენტების უფრო გამართვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასების საკითხი.

ღია კენჭისყრის შედეგით;

მომხრე - 17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს; დადებითად იქნეს შეფასებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის

განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ანგარიში 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

7. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა წარმოადგინა საკითხი - გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომზადებულია საკიუთხი 12(თორმეტი) ობიექტის სახელდების თაობაზე. საკითხი გავიარეთ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე. გადამოწმდა თანდართული დოკუმენტაცია და კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ საკითხი სრულყოფილად არის მომზადებული და გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - მან მადლობა გადაუხადა მომხსენებელს გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ მომზადებული დოკუმენტაცია გადაეგზავნება სამთავრობო კომისიას შესათანხმებლად.

8.სხვადასხვა:

1.მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა წარმოადგინა საკითხები:

,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წვრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსლების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის N-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის N-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან არის სამართლებრივი შენიშვნები აღნიშნულ დადგენილებებზე. შენიშვნები გათვალისწინებული იქნა და წარმოდგენილია დადგენილებები გასწორებული სახით.

შენიშვნები საკითხებთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით: მომხრე -17

წინააღმდეგი -0

დადაგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტები:

1. ,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წვრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსლების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და

2. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის N-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - თამარ მეფის ქუჩის გარკვეული მონაკვეთის დროებით ჩაკეტის თაობაზე.

სხდომის წევრებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა 13 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი